№ 959 ოთხშაბათი, 10 ნოემბერი. 1896 1899 ოთხშაბათი, 10 ნოემბერი № 959

# ცნობის ფურცელი

სადგომი და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.

ყოველ-მოწერნი გაზეთის დასაბეჭდად მიიღება რედაქციაში დილის 10 - 3 საათამდე და საღამოს 6 — ზე „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზია.

ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.

ტელეფონი № 363

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთი თვით 60 კაპ.

თითო ნომერი 3 კაპეიკი

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე — 5 კ.

Типографія и редакція „Цнобисъ Пурцели" Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.

Телефонъ № 363

წლის დამლევამდე

გაზეთი „ცნობის ფურცელი"

ეღირება 1 მან. 50 კაპ.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 11 ნოემბერს,

არტისტი ქალის კნ. ბარბარე ავალიშვილის სასარგებლოდ

ქართული დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება ქალბ. მ. მ. საფაროვ აბაშიძის მონაწილეობით

## ორი ობოლი

დრამა 5 მოქმედებად და 6 სურათად, თარგ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. მ. საფაროვისა, ან. აბაშიძე, გაბუნია-ცაგარლისა, ნებიერიძე; ბ.ბ. კ. მესხი, ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ადამიძე, მძინაროვი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორნი: ვ. აბაშიძე და კ. მესხი.

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ვ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი, არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ვ. თოფურია. საქირურგო თვალებ-ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. ზერრატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი ვ. თ. კოზანი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისათვის.

სამკურნალოს დირექტორი ს. ვ. თოფურია

Лѣчебница С. В Топурія въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

—

** ქართული წარმოდგენა. ხვალ სათავად-აზნაურო თეატრში დანიშნულია ფრიად საინტერესო წარმოდგენა. პირველად გამოდის ქართულ სცენაზე ამ ორი წლის შემდეგ ჩვენი ნიჭიერი არტისტი-ქალი მარიამ საფაროვ-აბაშიძისა ერთს თავის საუკეთესო როლში „ორ ობოლში". ამავე საღამოს გამოვა თავის საუკეთესო როლშივე ნიჭიერი ნ. გაბუნია ცაგარლისა და კიდევ ახალგაზდა მოთამაშენი.

** წირვა და პარაკლისი მიტროპოლიტ იოანიკეს იუბილეის გამო. კვირას, 7 ნოემბერს, სიონის საკათედრო ტაძარში საქართველოს ეგზარხოსმა ტფილისის სამღვდელოების თანამსახურებით სწირა და სამადლობელო პარაკლისი გარდაიხადა კიევის მიტროპოლიტის იოანიკეს 50 წლის იუბილეის გამო. წირვას დიდძალი ხალხი დაესწრო.

** ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მიღოცვა კიევის მიტროპოლიტს. გუბერნიის წინამძღოლს თავ. კონსტანტინე მუხრან-ბატონს ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობისაგან კიევის მიტროპოლიტის ყოვლად უსამღვდელოესის იოანიკესათვის გაუგზავნია შემდეგი მილოცვის დეპეშა:

„თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ, ნება მიბოძეთ დაუვიწყარი მწყემსთ-მთავარო და მეუფეო, ქართველ თავად-აზნაურობის სახელით გამოგიცხადოთ ამ თქვენთვის შესანიშნავ დღეს გულწრფელი მილოცვა და ხანგრძლივი სიცოცხლე საქრისტიანო ეკკლესიის სადიდებლად. თქვენი კეთილ-ნაყოფიერი მოღვაწეობა ძველის ივერიის ეკკლესიის ასპარეზზე დღესაც მარად ძვირფას მოსაგონებელია საქართველოს ყველა შვილებთაგან, რომელნიც გულმხურვალეთ ევედრებიან ყოვლად შემძლებელ ღმერთს, რათა ერთი ასად გიგოთ ღმერთმა იმ თქვენი კეთილი შრომისათვის, რომელსაც არ აკლებდით თქვენ თქვენს მიერ სამწყსო საქართველოს"!

** ბენეფისები ქართული თეატრის მსახიობთა. დრამატიულ საზოგადოების გამგეობას უკვე განუნაწილებია თავის მსახიობთა შორის ბენეფისები, რომელნიც ყველას რგებიან კენჭის ჩამოტარებით. პირველი ბენეფისი იწყება 25 ამ თვეს და ერგო ბ-ნ კ. ყიფიანს, მეორე ნ. გაბუნია-ცაგარლისას, მესამე ელ. ჩერქეზიშვილისას, მეოთხე სვ. სვიმონიძეს, მეხუთე კ. მესხს, მეექვსე გ. გედევანოვს, მეშვიდე მ. საფაროვისას, მერვე ვ. აბაშიძეს და მეცხრე ბენეფისი შათირიშვილს და კანდელაკს.

როგორც ისმის არტისტებთა შორის მომეტებულნი საბენეფისოდ ახალ პიესებს სდგამენო.

** ქალაქის მარველ დაწყებით სასწავლებლის გახსნა კუკიაში. კვირას კუკიაში ანდრეევის და რეუტოვის ქუჩის ყურთან გაიხსნა მეთექვსმეტე ქალაქის პირველ დაწყებითი სკოლა.

სკოლის გახსნას დაესწრო სოლქო მზრუნველი ბ-ნი იანოვსკი, საერო ინსპექტორი, ქალაქის მოურავი და სხვანი მრავალნი.

** არჩევნები ქალაქის გამგეობის წევრებისა. გუშინწინ ორშაბათს ქალაქის საბჭომ აირჩია ხმის უმეტესობით გამგეობის წევრებად თავ. ვასილ ნიკოლოზის ძე ჩერქეზიშვილი (41 თეთრი 4 შავი) ბ-ნი შესტ-კოვი (33—11) და ქალაქის საგირაო კამერის გამგებლად ბ-ნი ასლამაზოვი.

** ბ. გუნიას და დ. კეზელის საქმე რომელიც გუშინ უნდა გარჩეულიყო, გადაიდვა შემდეგისათვის, რადგან მომჩივარი ბ-ნი კეზელი აღარ გამოცხადდა სასამართლოში.

** დაკარგული კაცი. „ახალ მიმოხილვას" ფოთიდან სწერენ, რომ 29 ოქტომბერს, საღამოს 10 საათზე სააგენტოში მსახური აზნ. დავით ვერიძე უეცრივ დაკარგულა. იმ საღამოს ბერიძე შესულა ასლანოვის ყავახანაში, სადაც ვიღაცეები ღვინოს შეექცეოდნენ თურმე და რომელნიც რაღაცაზე დასცინოდნენ ხსენებულ ბერიძეს. ამ უკანასკნელს სწყენია და ერთი იმ მოქეიფისათვის სილა შემოურტყამს. ამის შემდეგ ბერიძე მოჩხუბრებს გარეთ გაუყვანიათ და მას შემდეგ ბერიძე აგერ რახანია არსად არა სჩანს თურმე. პოლიცია და გამოძიება დაეძებს და როგორც ამბობენ ბერიძე ჯერ უნდა მოეკლათ და მერე სადმე მიწაში ჩაეფლათო.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორის ასული უავგუსტოესის შვილებითურთ 5 ნოემბერს ცარსკოე სელოში მობრძანდნენ.

**ლორენცო-მარკეზი**. ლედისმიტიდგან იუწყებიან, რომ სამშაბათს, ომის დროს, ბურებს პატარა გორაკი ეჭირათ. ინგლისელთა ბატარეია მიუახლოვდა ამ გორაკს და ყუმბარები დაუშინა, ბურებმა პასუხი გასცეს და დიდის ზარბაზნებიდგან დაუწყეს სროლა. ინგლისელებმა უკან დაიხიეს. არ იციან რამდენი იქმნა ინგლისის მხრივ მოკლული. ბურებს მოუკლეს 2 კაცი და ექვსიც დაუჭრეს.

შუაღამისას ბურებმა ყველა ზარბაზნებიდგან ლედისმიტს ყუმბარები დაუშინეს. რამდენსამე შენობას ცეცხლი წაეკიდა. მეორე დღეს ინგლისელნი ქალაქიდგან გამოვიდნენ და მაღლობები დაიჭირეს, რათა ყუმბარებს მოჰშორებოდნენ.

**ლონდონი**. „Stan"-ს პრეტორიიდგან ატყობინებენ, ხმა დადის, რომ 3000 ბური ესკორტის ასაღებად გაემართაო.

**პრეტორია**. გუშინ დილით ინგლისელნი ლედი-სმიტის სამხრეთით თავს დაეცნენ 389 ბურს, მაგრამ ბურებმა დიდის ზარბაზნებიდგან ყუმბარები დაუშინეს და უკან დასწიეს ინგლისელნი. ბურებს მოუკლეს ერთი კაცი და დაუჭრეს სამი. არ იციან ინგლისელებს რამდენი კაცი მოუკლეს და დაუჭრეს.

**ლორენცო-მარკეზი**. აქ ხშირად მოდიან ტრანსვაალიდგან საიდუმლო აგენტები. გუშინ მოვიდა ორანჟის რესპუბლიკის პალატის წევრი, რომელიც, უთუოდ, კაპშტადტში მიდის. ამ მგზავრობის მიზანი არავინ იცის.

**დურბანი**. ვენენში სამი კაცი შეიპყრეს, რომელნიც ინგლისელ ჯარის კაცების ნივთებს იპარავდნენ. ჰფიქრობენ, რომ ეს კაცები ჯაშუშები არიანო.

„Times of Natal"-ში დაბეჭდილია ნონდვენიდგან დეპეშა, რომელშიაც კორესპონდენტი სჩივის, რომ აქ მცხოვრებნი ინგლისელნი უპატრონოდ არიან მიტოვებულნი, დუქნები გაძარცულია, მცხოვრებნი ბურებმა ტყვედ წაიყვანესო.

**ესტკორტი**. 2,0 0 ბურმა დაიჭირა ენნეროდელი, რომელიც ესტკორტიდგან ხუთის მილის სიშორეზეა.

**ესტკორტი**. როგორც ისმის, ბურებმა ვენენიც დაიჭირეს, რომელიც ესტკორტიდგან 5 მილის სიშორეზეა.

**ტული**. პოლკოვნიკმა პლუმერმა პალაპიიდგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „ადგილობრივ მცხოვრებთა წინამძღოლმა ხამამ სელიკაკოპისკენ 370 კაცი გაჰგზავნა. ამ ჟამად იქ სულ 700 კაცია".

**ლონდონი**. სამხედრო სამინისტრომ კიმბერლეიდგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „სრული მშვიდობიანობაა"-ო. ასეთივე შინაარსის დეპეშა მიიღო სამინისტრომ ლედისმიტიდგან.

**ესტკორტი**. 5 ნოემბერი. აქ მოვიდა ლედი-სმიტიდგან უაიტის მიერ გამოგზავნილი კაცი, ამ კაცის სიტყვით ლედი-სმიტში მშვიდობიანობაა.

**ლონდონი**. ოფიციალური ცნობა ჟუბერის გარდაცვალების შესახებ არ მოსულა. „რეიტ. სააგენტოს" ლორენც-მარკეზიდგან ატყობინებენ, რომ ჟუბერი ცოტა უქეიფოდ იყო, მაგრამ მილე მოკეთდაო.

**მადრიდი** „ჰავასის სააგენტო". ბარცელონაში სამხედრო გემი იქმნა გაგზავნილი. უწესოების უმთავრეს ჩამდენთ გემზედ გადასხამენ, თუ მცხოვრებნი თავისას არ დაიშლიან და გადასახადის გასტუმრებაზედ უარს იტყვიან.

**კაპშტადტი**. ბურების მცირე რაზმები მრავლად არიან გრიკუაში. მათ უკვე აიღეს ბარაკლივე-ტომი და ტყვედ წაიყვანეს პოლიციის ჯარის-კაცნი. დუგლასშიაც ასევე მოიქცნენ. ყველა ქალაქში ბურები ადგილობრივ უფროსსა ჰნიშნავენ.

**ლონდონი**. „რეიტერის სააგ.". დღეს ახალი ჯარი მოვიდა აქ. სულ წინანდელთან ერთად ახლად მოსული ჯარი ინგლისისა 27000 კაცს აღემატება. ცენზურა არ ამხელს ჯარი სად და სად იქმნება გაგზავნილი.

**პარიზი**. უმაღლესი სასამართლო როიალისტების ჩვენების ჩამორთმევა განაახლეს. დევემ განაცხადა, არც ერთ სხვა ლიგასთან არა მქონდა კავშირიო. დერულედი თავისას გაიძახოდა — რესპუბლიკა მიყვარსო; შემდეგ გაჰკიცხა აწინდელი საპარლამენტო რეჟიმი და ცუდად მოიხსენია რესპუბლიკის პრეზიდენტი (აღელვება). ბრალმდებელმა მოითხოვა დერულედი დასჯილ იქმნას იმის გამო, რომ პრეზიდენტს შეურაცხყოფა მიაყენა. ხანგრძლივის მოლაპარაკების შემდეგ, სასამართლომ დერულედს სამის თვით სატუსაღოში დაპატიმრება გადაუწყვიტა. შემდეგი კრება ორშაბათს მოხდება.

**ესტკორტი**. დღეს დილით ბურები მოულოდნელად დაეცნენ ჩრდილოეთ-დასავლეთიდგან ესტკორტს, მაგრამ ინგლისელების ყუმბარებმა მალე უკან დასწიეს. ბურებმა თავიანთი ზარბაზნებიც წაიღეს გორაკებიდგან. ამ ჟამად მთავარ-სარდლად გენერალი გილდიადი.

**კიმბერლეი**. 30 ოქტ. ბურები მთელ დღეს ყუმბარებს ესროდნენ ქალაქს. მოკლულ იქმნა მხოლოდ ერთი ქალი.

**კაირი**. კიტჩენერი დღეს ხართუმში მივიდა, საიდგანაც დეპეშით იუწყება, რომ აქ არავითარი ცვლილება არ მომხდარაო; ხალიფა ჯერ ისევ დუემის დასავლეთით იმყოფებაო.

**ლორენცო მარკეზი**. ტრანსვაალის ოფიციალური გაზეთი „volksem"-ი აცხადებს, რომ დიდი ხიდი მდ. ტუგელუზედ, კოლენზოს მახლობლად, დაქცეულ იქმნაო.

3 ნოემბერს ბურებმა, რიცხვით 600 კაცმა, გელპმკაარის გასავალი დაიჭირეს რათა ინგლისელთ ვეღარ შესძლონ დენდის ხელ-ახლა დაპყრობა.

**ლონდონი**. „Times"-ში დაბეჭდილია ესტკორტიდგან დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ ლედისმიტიდგან მართლაც მოვიდა კაცი 3 ნოემბერსაო. ამ კაცის სიტყვით, ყუმბარებმა ქალაქის შენობას ცოტა ვნება მიაყენეს. ბურების მხრივ მოკლულ იქმა 5 კაცი ხოლო დაჭრილ ორი.

**ლონდონი**. „რეიტერის სააგენტო" ესტკორტიდგან მოსული ოფიციალური დეპეშა 6 ნოემბრისა იუწყება: დღეს დილით ჩრდილოეთის მოწინავე ჯარის უფროსმა გვაცნობა, რომ მტრის ცხენოსანი მზვერავები წინ მოდიან შურგონის გზატკეცილიდგან ულიენდიამდე და ესტკორტისაკენ მიემართებიან. რამდენიმე რაზმი, 500 დგან 700 კაცამდე, მიდიან ესტკორტისაკენ ჩრდილოეთ დასავლეთიდგან, ხოლო რაზმი, რომელშიაც 150 კაცია, რკინისგზისაკენ მიდის. ინგლისის მოწინავე ჯარმა სროლა ასტეხ. დაუწყო ყუმბარების სროლა, რის გამოც მტერი საჩქაროდ გაბრუნდა უკან.

**პრეტორია**. „რეიტერის სააგენტო". გუშინ ერთმა რაზმმა, რომელსაც ორისავე რესპუბლიკის ჯარი შეადგენდა, დაიპყრო კოლესბერგი ისე, რომ წინააღმდეგობა არავის გაუწევია. მცხოვრებლები იქ არავინ აღმოჩნდნენ. კოლესბერგის გარს მყოფი მიწა-ადგილები თვით ქალაქითურთ ორანჟის რესპუბლიკას შეუერთეს.

**კაპშტადტი**. 6 ნოემბერი. „რეიტერის სააგენტო". ბურთა რაზმმა, 550 კაცისაგან შემდგარმა, დაიპყრო გუშინ ალივალნორტი, აღმართა იქ დროშანი ორისავე რესპუბლიკისა და პროკლამაცია გამოსცა, რომლითაც აცხადებს, რომ ეს ქალაქი მისის მიწა-ადგილის შეერთებული გვაქვსო. იქაურმა ინგლისელთ მკვიდრთ ქალაქიდგან ორის კვირის განმავლობაში უნდა გავიდეს.

**კვინსტაუნი** 2 ნოემბერი. „რეიტერის სააგენტო". დაიპყრეს ბურგერსდორპი და, როგორც აქ ჰფიქრობენ, სტორმბერგისაკენ მიემართებიან.

**ელანდსლააგტე**. 28 ოქტომბერი. უაიტმა და ჟუბერმა ერთმანეთს წერილები მისცეს, სადაც უაიტი სწერს, დიდათ ვწუხვარ ომის ატეხვისა გამო და აცხადებს, რომ ბურები ყოვლად კაცთმოყვარედ იქცევიანო. ამ წერილმა კეთილ-სასიამოვნოდ იმოქმედა.

**ლორენცო-მაკეზი**. 6. ნოემბერი. როგორც ბურების ცნობებიდგან სჩანს. ჟეიარაღებულ მატარებელთან ბრძოლის დროს კოლენზოსთან 3 ნოემბერს ბურებს დაუტყვევებიათ 56 ინგლისელი, მათ შორის „Mariung Post"-ის კორესპონდენტი ჩერჩილი. ტყვეები პრეტორიაში არიან გაგზავნილნი.

**კიევი**. დღეს მიტროპოლიტის იოანნიკეს იუბილეის გამო ყველა ეკლესიაში სადღესასწაულო ლოცვათის მსახურება იქმნა გარდახდილი და აგრეთვე სამადლობელი პარაკლისი. მიტროპოლიტი იოანნიკე მწირველად ჯვარის ეკლესიაში ჰბრძანდებოდა. ნაშუადღევის პირველ საათზედ დაიწყო მილოცვა იუბილიარის სადგომში. წაკითხულ იქმნა 47 მილოცვის წერილი და ადრესი. პირველად წაიკითხა უმაღლესი რესკრიპტი უწმიდესის სინოდის პროკურორის ამხანაგმა საბლერმა. უწმ. სინოდის მილოცვა წაიკითხა მიტროპოლიტმა ვლადიმირმა. წაკითხულ იქმნა ადრესი პალესტინის საზოგადოებისა მისი უავგუსტოესის თავმჯდომარის სახელით. შემდეგ იუბილიარს მიულოცეს მრავალმა დეპუტაციამ, მიართვეს ადრესები და ხატები. დასასრულ სადილი იყო გამართული, რომელსაც 300 წვეული დაესწრო. პირველი სადღეგრძელო ჰბრძანა მიტროპოლიტმა იოანნიკემ და ადღეგრძელა ხელმწიფე იმპერატორი და სამეფო გვარეულობა, რომელსაც მრავალ ჟამიერის გალობა მოჰყვა ზართა რეკვით. დიდ-ძალი სამღვდელოებაა ჩამოსული: 30 ეპისკოპოსი, მრავალი არხიმანდრიტი და რუსეთის სხვა და სხვა კუთხის სამღვდელოებათა წარმომადგენელი.

**ვარშავა**. უნივერსიტეტის საბჭომ დაადგინა: სტუდენტების მიერ ვადაზედ შეუტანელი ლექციების მოსასმენი გარდასახადი ვალად შეაწეროს იმავე სტუდენტებს, ისე-კი, რომ იგი ცოტ-ცოტა გარდახდილ იქმნას სწავლის დამთავრების მოწმობის მიღებამდე.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Ноября 1899 г. [illegible] რედაქტორ-გამომცემელი ი. გუნია